

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო
მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური
სასწავლო ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2024 წელი

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3
2. სრული შემოსავლების ანგარიშგება -----4
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----5
4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----6
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----7

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის
რეგიონალური სასწავლო ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

საბალანსო ანგარიშგება		31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
1	ფულადი სახსრები	804,473.25	1,003,551.35	879,147.40
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	330,478.99	257,702.46	348,560.60
3	სასაქონლო მარაგი	63,345.68	74,205.26	84,323.28
3.1	ნედლეული და მასალები	63,345.68	74,205.26	84,323.28
სულ მიმდინარე აქტივები		1,198,297.92	1,335,459.07	1,312,031.28
4	ქონება, მიწა, აღჭურვილობა	1,337,720.97	1,064,550.11	1,188,230.87
4.1	მიწის ნაკვეთები	175,840.00	175,840.00	175,840.00
4.2	შენობა-ნაგებობები	807,378.06	847,620.79	903,763.52
4.3	მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	354,502.91	41,089.32	108,627.35
5	არამატერიალური აქტივები	-	-	428.00
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,337,720.97	1,064,550.11	1,188,658.87
სულ აქტივები		2,536,018.89	2,400,009.18	2,500,690.15
6	საწესდებო კაპიტალი	359,336.00	359,336.00	359,336.00
7	სარეზერვო კაპიტალი	1,487,309.13	1,487,309.13	1,487,309.13
8	გაუნაწილებელი მოგება	463,704.71	422,686.30	438,274.94
9	დაუფარავი ზარალი (-)			
სულ საკუთარი კაპიტალი		2,310,349.84	2,269,331.43	2,284,920.07
10	დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	71,217.37	17,702.46	43,610.14
11	გადასახდელი ხელფასები	154,451.68	112,975.29	172,159.94
სულ მიმდინარე ვალდებულებები		225,669.05	130,677.75	215,770.08
12	გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-		-
სულ ვალდებულებები		225,669.05	130,677.75	215,770.08
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,536,018.89	2,400,009.18	2,500,690.15

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

		2023 წელი	2022 წელი
სულ შემოსავალი	ლარი	1,635,392.44	1,647,647.93
სულ დანახარჯები		1,594,374.03	1,663,236.57
სულ საოპერაციო შემოსავალი		1,472,689.83	1,562,364.08
სულ რსი		1,087,785.32	997,321.53
1	შემოსავალი სამედიცინო მომსახურების გაწევიდან	1,472,689.83	1,562,364.08
	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	1,087,785.32	997,321.53
	საერთო მოგება	384,904.51	565,042.55
2	კომერციული, საერთო და ადმინ.-ლი ხარჯები	453,780.07	540,056.26
2.1	შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	258,720.00	258,720.00
2.2	კომუნალური ხარჯები	37,153.31	38,712.32
2.3	რეკლამა, მარკეტინგი	-	500.00
2.4	ტრანსპორტის ხარჯები	4,796.31	7,369.91
2.5	მიწის ნაკვეთის ხარჯები	244.00	281.00
2.6	საკონსულტაციო(აუდიტი) და იურიდიული ხარჯები	4,900.00	4,900.00
2.7	ცვეთა/ამორტიზაცია	81,779.14	122,719.26
2.8	რეცეპტებისა და საავადმყოფო ფურცლების ფორმები	51.87	1,473.29
2.9	საკანცელარიო ხარჯი	10,648.95	10,940.00
2.1	სამეურნეო ხარჯი	9,606.81	23,969.45
2.11	სხვა ხარჯი	45,879.68	70,471.03
	საოპერაციო მოგება	(68,875.56)	24,986.29
3	არასაოპერაციო შემოსავალი	162,702.61	85,283.85
3.1	კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	-	-
3.2	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	162,702.61	85,283.85
4	არასაოპერაციო ხარჯები	52,808.64	125,858.78
4.1	კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	716.86	35,919.24
4.2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	52,091.78	89,939.54
	მოგება დაბეგვრამდე	41,018.41	(15,588.64)
5	მოგების გადასახადი	-	-
	წმინდა მოგება	41,018.41	(15,588.64)

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის
რეგიონალური სასწავლო ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი)		ლარი
	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში	1,003,551.35	889,331.36
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება	1,397,067.30	1,644,148.27
- შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	1,397,067.30	1,644,148.27
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება	1,354,907.54	1,483,835.04
- შრომის ანაზღაურება	931,517.49	971,838.54
- კომუნალური ხარჯები	39,891.61	38,038.73
- ტრანსპორტის ხარჯი	5,949.61	7,201.85
- გადასახადები	241,900.44	246,437.11
- სხვა ხარჯები	135,648.39	220,318.81
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(240,521.00)	(10,174.00)
- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	240,050.00	10,174.00
+ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა	15,429.00	-
- კაპიტალური ხარჯები	15,900.00	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(716.86)	(35,919.24)
- კურსთა შორის უარყოფითი სხვაობა	716.86	35,919.24
+ ბიზნესში ინვესტირებული ფული	-	-
- დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები		
ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს	804,473.25	1,003,551.35

შპს «ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი»

ბაიჯალის მუშაკების ანგარიშგება

განვ. ერთეული: ლარი

2023 წელი	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საერთო კაპიტალი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (01.01.2023)	359,336.00	1,487,309.13	422,686.30	-	2,269,331.43
+					
ზრდა პერიოდის განმავლობაში	-	-	41,018.41	-	41,018.41
-					
კლება პერიოდის განმავლობაში					
ნაშთი პერიოდის ბოლოს (31.12.2023)	359,336.00	1,487,309.13	463,704.71	-	2,310,349.84

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“ რეგისტრირებულია ქუთაისის სასამართლოს მიერ 1999 წლის 23 სექტემბერს (რეგისტრაციის ნომერი: 12/4-983; გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 212693780). კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #5/7. შპს-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის სახელმწიფო.

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის“ საქმიანობის პროფილი არის პირველადი ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევა.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს მხოლოდ ერთი საწარმოს - შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის“ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

მომზადების საფუძველი

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს

და განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“ უწყვეტად განაგრძობს თავის საქმიანობას: პარტნიორები და ხელმძღვანელობა არ გეგმავენ მის ლიკვიდაციას, ან საქმიანობის შეწყვეტას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც აიძულებს მათ ამის გაკეთებას.

აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი;

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე;

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი არ ქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც მოითხოვს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას.

ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა წელს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული რამ არ არის მოცემული.

ფულადი სახსრები

- კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, ისევე როგორც შესადარისი პერიოდის ბოლოსათვის, მოიცავს მხოლოდ ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებულ ნაშთებს, მათ შორის ეროვნულ ვალუტას და უცხოურ ვალუტას, რომელიც წარმოდგენილია აშშ დოლარის სახით;
- უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაცია საანგარიშგებო ვალუტაში და შეტანა ანგარიშგებაში ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

აქტივების თვითღირებულება

- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ღირებულებას და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისათვის გამოიყენება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი;
- კომპანიის არსებული მარაგები ძირითადად მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს; ასევე, სხვადასხვა საოფისე, საკანცელარიო და სამეურნეო მასალების ნაშთებს, რომელთა მოცულობა, მარაგების საერთო მოცულობაში არ არის არსებითი;

დებიტორული დავალები

- კომპანიის დებიტორული დავალიანებები როგორც საანგარიშგებო, ისე შესადარისი პერიოდისათვის, მიმდინარე მოთხოვნებია, რომლებიც წარმოიქმნა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში

ბენეფიციარებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებით და მათი ნაშთის არსებობა ბალანსში განპირობებულია სახელმწიფოს/ჯანდაცვის სამინისტროს და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების მხრიდან მომსახურების ღირებულების დაგვიანებით ანაზღაურების გამო;

ძირითადი საშუალებები

- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით; ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;
- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას მენეჯმენტის მიერ გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების გარემო;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

#	ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
1	მიწის ნაკვეთი	არ ერიცხება ცვეთა
2	შენობა-ნაგებობა	20 წელი
3	სამედიცინო ინვენტარი და აღჭურვილობა	5 წელი
4	სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები;
- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან

მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი;

- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

არამატერიალური აქტივები

- არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით;
- არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდის საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;

ვალდებულებები

- კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენენ მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც, წარმოიქმნა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით შესყიდვის შედეგად და როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდში. კრედიტორული ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პერსონალისათვის გადასახდელი ხელფასები. მათი ნაშთის კრედიტორული ვალდებულების ფორმით არსებობა გამოწვეულია შესაბამისი დარიცხული შემოსავლების მიღების დაგვიანებით.

- თანამშრომელთა ხელფასები და სხვა ანაზღაურება - მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, საშვებულებო ანაზღაურებას და დახმარებას დროებითი შრომისუნარობის გამო.

კრედიტორული ვალდებულებების სტრუქტურა

#	ვალდებულების სახე	ნაშთი 31.12.2023- თვის (ლარი)	სტატუსი
1	ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	71 217,37	მიმდინარე
2	ვალდებულებები პერსონალის მიმართ (გადასახადელი ხელფასი)	154 451,68	მიმდინარე

კომპანიის კაპიტალი

- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის. ის მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს (საწესდებო კაპიტალს), სარეზერვო კაპიტალს და კაპიტალის ნაზარდს, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად და რჩება კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის, დამფუძნებლისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ;
- კომპანიის სარეზერვო კაპიტალი შექმნილია კომპანიის ძირითადი საშუალებების აფასების საფუძველზე.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

- შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის შემდეგ დარიცხვის მეთოდის გამოყენებით;
- კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს (საოპერაციო შემოსავალს) წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები;
- კომპანიის შემოსავლებში/ხარჯებში აღიარდება არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები, მათ შორის ვალუტის

კურსის ცვლილებით მიღებული ფინანსური შედეგები, უსასყიდლოდ მიღებული სხვადასხვა სახის სამედიცინო მასალები;

- კომპანიის ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით;
- კომპანიის არასაოპერაციო ხარჯები მოიცავს, ისეთ ხარჯებს როგორცაა ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი;

დაბეგვრა

- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები;
- კომპანია, როგორც სამედიცინო მომსახურების გამწვევი გადასახადის გადამხდელი, გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდისაგან ჩათვლის უფლების გარეშე და სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების, მ.შ. მიწის გადასახადისაგან;
- კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელის“ შესაბამისად;
- საშემოსავლო გადასახადით იბეგრება თანამშრომელთა ანაზღაურება.

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის“ დირექტორი

/მ. კვიცარიძე/